

## სპორტული მოედნის ტექნიკური მახასიათებლები

სპორტული მოედანი უნდა იყოს ღია ტიპის, კომბინირებული (მინიფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი) ხელოვნურსაფარიანი მოედანი. ხელოვნური საფარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს:

ხელოვნური საფარის მასალა:  
ღეროს (ძაფის) სიგრძე:  
ხალიჩის ფერი:

სინთეტიკა;  
25 მმ;  
მწვანე (შესაძლებელია შეუთავსდეს  
დამატებით ერთი ფერი შემსყიდველ  
ორგანიზაციასთან შეთანხმებით);  
თეთრი/ყვითელი;

ხაზების ფერი:

მწარმოებლის გარანტია:


ექსპლუატაციის პირობების დაცვის  
შემთხვევაში - მინიმუმ 2 წელი.  
საგარანტიო მომსახურება უნდა  
უზრუნველყოს შემსრულებელმა  
ორგანიზაციამ. მისაღებია თუ  
ტენდერში მონაწილე ორგანიზაცია  
წარმოადგენს მწარმოებლის მიერ  
გაცემული საგარანტიო  
პერიოდისაგან განსხვავებულ ვადას  
(არანაკლებ 2 წლისა და არაუმეტეს  
მწარმოებლის მიერ განსაზღვრული  
საგარანტიო პერიოდისა).

## მოედანი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს:

მოედნისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მომზადების, ბალასტისა და ღორღის  
შეტანისა და გასწორების შემდეგ მოიჭიმება ქვიშა-ცემენტის ფენა 100 მმ-ის ღორღის  
ფენაზე სისქით მოეწყოს (ბეტონი მ-250). მიღებულ კონსტრუქციულ ზედაპირზე, რომლის  
ქანობია 0,5% წყლის გადაყვანის მიმართულებით, იგება ხელოვნური ბალახის საფარი.

სტანდარტული კალათბურთის ფარი:

ღია სპორტული მოედნებისთვის  
განკუთვნილი კალათბურთის ფარი  
(105X180 სმ) კომპლექტში (ფარი,  
რგოლი და ბადე). საყრდენი



კონსტრუქცია ლითონის  
კვადრატული მილი 100X100 მმ (კედლის სისქე 6 მმ);

ფეხბურთის კარი: ზომა:

200X300 სმ, მასალა: დ=89 მმ სისქით 4მმ  
ლითონის მილი, აბრეშუმის ძაფის ბადით;

ფრენბურთის კაუჭები;

მოედნის გრძივ მხარეებზე,  
ცენტრალურ დგარებზე, 240 სმ  
სიმაღლეზე მაგრდება კაუჭები  
ფრენბურთის ბადისათვის.

ღობე:

მოედნის პერიმეტრზე მოწყობილ  
ბეტონის (მ-250) არმირებულ (დ=10  
მმ) საძირკველში მაგრდება ლითონის  
კვადრატული მილი 80X80 მმ  
(კედლის სისქე 6 მმ) დგარები  
ზეძირკველის (ცოკოლის) პირიდან  
სიმაღლით 4,0 მ, რომლებიც  
ჰორიზონტალური გამბრჯენების ორი  
პარალელური რიგის შედუღებით  
უერთდება ერთმანეთს;

შემოსაღობი ბადე:

ღობის მეტალის კონსტრუქციებზე  
იჭიმება პლასტმასის გარსით  
იზოლირებული ლითონის ბადე  
(უჯრის ზომები არაუმეტეს 40X40  
მმ), ხოლო ღობის მთელ პერიმეტრზე  
5 პარალელურ რიგად იგივე  
მასალისაგან დამზადებული ბაგირი,  
რომელზეც მაგრდება ბადე;  
ბადის სიმაღლეა 4 მეტრი (უწყვეტი  
ნაქსოვი, გადაბმის გარეშე, 3 მმ-იანი  
მავთულით (pvc-თი დაფარული,  
ხოლო pvc-ს გარეშე ლითონის  
მავთულის სისქე 2 მმ).

**შენიშვნა:** საჭიროების შემთხვევაში მოედნის შესასვლელში მოეწყოს  
შეზღუდული უნარების მქონე პირთათვის პანდუსი ნორმების სრული დაცვით.

მოედნის შესასვლელ კარს ზემოთ მაგრდება ლითონის აბრა (40X30 სმ) მოედნის  
უსაფრთხოების დაცვისა და ექსპლუატაციის წესების ჩვენებით:

**„სპორტული მოედნის უსაფრთხოების დაცვისა და ექსპლუატაციის წესები“**

**დაუშვებელია:**

- სპორტული მოედნის ღობის, კალათბურთის ფარებისა და ფეხბურთის  
კარების კონსტრუქციებზე აძრომა და მათი დაზიანება;
- მოედნის ხელოვნურ საფარზე ფეხსაცმლითა და სარჭებიანი ბუცებით  
თამაში;
- მოედნის დანაგვიანება.  
გთხოვთ, დაიცვათ აღნიშნული წესები.